

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშემე მერქნის ნატურით-უსასყიდლოდ გადაცემის 2018 – 2019 წლების პროგრამა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშემე მერქნის ნატურით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2018 – 2019 წლების პროგრამა.
2. საშემე მერქნის გაცემის დრო: საშემე მერქანი გაიცემა სეზონურად, 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 მარტის ჩათვლით.
3. პროგრამის მოქმედების პერიოდი: 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 მარტის ჩათვლით.
4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები**

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ხელშეწყობა ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია**

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, ასევე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ, მარტოხელა პენსიონერთა, მრავალშვილიანთა, მძიმე ავადმყოფთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ან დასახიჩრებულ მემართა ოჯახებს, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

**მუხლი 4. საშემე მერქნის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:** 1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რასაც თან უნდა დაერთოს:

- ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) ამ პროგრამის მესამე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თანხმობა განცხადებაზე რეზოლუციის სახით.

**მუხლი 5. საშემე მერქნის გაცემის წესი და ოდენობა:**

1. პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს პირადი განცხადების საფუძველზე უსასყიდლოდ გადაეცემათ საშემე მერქანი 2 – 3 კბ.მ. ოდენობით - სეზონის განმავლობაში ერთჯერადად, რომლის ადგილზე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფი.
3. სამუშაო ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისგან, ასევე სურვილის შემთხვევაში საკრებულოს წევრებისაგან მათივე თანხმობით.
4. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი ამზადებს მერის ბრძანების

პროექტს და მისი გამოცემის შემდგომ უზრუნველყოფს განმცხადებლისათვის საშუალებების მერქნის გადაცემას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

*ნ. ჯანელიძე*